ხუთშაბათი 1919 წ. იანვრის 30 № 22

წლიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ. იანვრის 30 № 22

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად ... გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპი... გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„...ართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (...ლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა ...ოველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

მე-6 ქართული პოლკი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 იანვარს თელავში, პოლკის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა პოლკის ეკლესიაში და პანაშვიდი პოლკის სასაფლაოზე

აფიცერთა და ჯარის-კაცების

სულის მოსახსენებლად, რომლებიც გმირულად დაეცნენ სადახლოში სომხებთან შეტაკების დროს. 1—1

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო"

1919 წ. წლიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

## საქართველოს მამულიშვილნო!

### ახლოვდება არჩევნები

### დამფუძნებელ კრების და თბილ. თვითმართველობისა

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

საჭიროა ღვინის საწყობი

დიდი სარდაფი

და საწყობისათვის საჭირო

მოწყობილება. ყოველივე ცნობები წერილობით ან პირადად ვოკზლის ქ., სახლი № 19 საგოსტრონომიო სავაჭროში 2 2054—1

სახალხო თეატრი

ხორის ბენეფისი

დღეს, 30 იანვარს ხორის ბენეფისი დღეს, 30 იანვარს

მონაწილეობენ: საბანეევა, ალეშკო, სპიტკო, იანსი, ზალიპსკი, პოლიაევი და ისეცკი.

სნეგუროჩკა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

შაბათს, 1 თებერვალს, შულგინას ბენეფისი. მონაწილეობენ: შულგინა, ველევზოროვა, ზალიპსკი, ვრონსკი, ინაშვილი, ნიკოლსკი, დემიანენკო, ეზროვი

ბოჰემა

კვირას, 2 თებერვალს, დილით, შვამბერგის, იანსის, მოლჩანოვის და ნიკოლსკის მონაწილეობით: რუსალკა.

საღამოთი ინაშვილის ბენეფისი. შულგინას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ისეცკას, დემიანენკოს და კურბატოვის მონაწილეობით დადგმული იქმნება ქართულ ენაზე „დემონი".

სამშაბათს, 4 თებერვალს, ტ. საბანეევას ბენეფისი მონაწილეობენ: საბანეევა, ზალიპსკი, ნიკოლსკი, ინაშვილი და ეზროვი—„მანონი".

## ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს" რედაქტორი.
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. ...ვარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.
9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, ...ურნეო ბანკის დირექტორი, ქალა...ოსანი.
13. ...მარგველაშვილი ტიტე თადეო..., ფილოსოფიის დოქტორი, მთა... საერობო ინსტრუქტორი.
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.
16. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.
17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.
18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.
20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.
22. წერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბ... ხმოსანი, ქართველ ვაჭარ-მრეწ...თა კავშირის თავმჯდომარე.
23. ...ფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაძე.
25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.
26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.
28. ...რთაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, ...ლი, საკათალიკოსო საბჭოს წევრ...
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.
25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.
36. მამულ...იშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იუ...ისტი, ნავთის მრეწველი.
37. თუმა...ვილი პავლე იოსების ძე, საზოგა...მოღვაწე, ქველმომქმედი.
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟინერი ...ვი ქვის მრეწველი.
39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.
40. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.
44. ელ...ავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ...ომის ხმოსანი.
45. ...აშვილი ზაქარია დიმიტრის ძე ...კოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთ...ოგადოების თავმჯდომარე.
46. ...დანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
47. ღუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერ...ოლოზის ძე, მწერალი.
51. მო...ეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
55. დადი...ნი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგ...დის ქალაქის თავი.
56. ჯაია... ...ესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.
57. გუჯე...ი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.
60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.
62. კლი...ვილი ზაქარია მიხეილის ძე, თ...ის გიმნაზიის დირექტორი.
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟენერი.
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
71. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.
73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერო ბანკის დირექტორი.
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.
78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.
81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის" რედაქტორი.
84. ჟღენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.
86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.
88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.
90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.
92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.
95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

## ეროვნულ-დემოკრატიის გამარჯვება საქალაქო არჩევნებში

საქართველოს ქალაქებში უკვე დაიწყო არჩევნები. ამ არჩევნებს დიდი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს მომავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძალთა განწყობილება გამოირკვევა სწორედ ამ საქალაქო არჩევნების დროს და საქალაქო არჩევნები იქნება სწორედ პროტოტიპი მომავალ დამფუძნებელ კრებისაც. ამიტომ მოუწოდებთ რა ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს მთელის ენერგიით ჩაებნენ ამ საქალაქო არჩევნებში, ჩვენ არ შეგვიძლიან ეხლავე არ აღვნიშნოთ ის გადახრა ჩვენი საზოგადოებრივ სულისკვეთებისა, რომელიც ამ არჩევნებში ჩვენი პარტიის ზრდაში უნდა გამოიხატოს.

უკვე მოსულ საარჩევნო ცნობებიდან სჩანს, რომ ეს გადახრა უკვე მოხდა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ძლიერად გამოდის იქ, საცა ის წინა არჩევნებში ან სულ არ სჩანდა, ან სჩანდა ძალიან სუსტათ. დიდათ მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქალაქ ოზურგეთის არჩევნებში, სოციალ-დემოკრატიულ ამ ციდატელში, საცა ჩვენ პარტიას მხოლოდ ერთი ადგილი ერგო წარსულ არჩევნებში, ჩვენი გამოსვლა გამარჯვებით დამთავრდა. ოცი ხმოსნიდან ჩვენ გავიყვანეთ ხუთი.

ჭიათურაში, სადაც ჩვენ აგრეთვე მხოლოდ ერთი ხმოსანი გვყავდა წარსულ არჩევნებში, ჩვენ ისევ გავიმარჯვეთ და ახლა სამი ხმოსანი გვყავს.

უფრო დიდ და ნამდვილ გამარჯვებას წარმოადგენს ჩვენი პარტიისა ჩვენი გამოსვლა სენაკის არჩევნებში. ამ არჩევნებში ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა სოციალ-დემოკრატების, ფედერალისტების და ესერების ბლოკი და ოცი ადგილიდან ჩვენ პარტიას ხვდა თორმეტი ადგილი. ეს უკვე ნამდვილი გამარჯვებაა, რომელმაც ყველას უნდა დაანახოს, რამდენად საღი და ძლიერია თავის იდეოლოგიით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

თვით ქალაქ სიღნაღის არჩევნებშიც, სადაც ჩვენი პარტია ბლოკით გამოვიდა და სადაც ამ ბლოკს ხუთი ადგილი ერგო—გამარჯვებაა ჩვენი პარტიისა, რადგანაც წარსულ არჩევნებში პარტიას სიღნაღის თვითმართველობაში არც ერთი ადგილი არ ჰქონია.

ჩვენ მოგვყავს აქ მხოლოდ ის ცნობები, რომელიც დღემდეა ჩვენს ხელში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სხვა ქალაქების არჩევნებშიც ჩვენი პარტიის გამარჯვებით დამთავრდება და კიდევ ენერგიულ მუშაობისკენ მიუწოდებთ იმ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლის ტერიტორიაზე ჯერ არ მომხდარა არჩევნები.

ჩვენ უნდა ავღნიშნოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ ყველგან, საცა ეს არჩევნები მოხდა, ჩვენი პარტია სოც.-დემოკრატების შემდეგ პირველია თავის სიძლიერით და ხმათა რიცხვით, სენაკში კი ყველა სოციალისტებზედაც ძლიერი. ფედერალისტებს თითო ადგილი ერგოთ და ეგრედ წოდებული „საქართველოს ეროვნული პარტია" სულ არ სჩანს. ჩვენ იმედი გვაქვს რომ ასეთი განწყობილება, რასაკვირველია, უფრო მეტის გადმოხრით ჩვენ სასარგებლოთ, დაცული იქნება როგორც საქალაქო, ისე დამფუძნებელ კრების არჩევნებზე და პარტია დაიჭერს იმ ადგილს, რომელიც მას ეკუთვნის საქართველოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

34

გიორგი, ალექსანდრე, ნადია და ნინო გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ სადგურ ბორჯომში უეცრად გარდაიცვალა საყვარელი მამა მათი

ისიდორე სიმონის ძე სილაგაძე

რომელიც მიასვენეს წმინდა ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება დღეს, 12 საათზე იმავე ეკლესიის გალავანში 1—2067—1

# უკანასკნელი ცნობები

ადმირალმა ბიტემ განაცხადა, რომ ინგლისის ჯარები მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩებიან კავკასიაში.

არაბეთი მოითხოვს დამოუკიდებლობას და გაერთიანებას ამერიკის პროტექტორატის ქვეშ.

პარიზში დაიწყო ჟორესის მკვლელის საქმის გარჩევა.

ბერლინში დაასაფლავეს ლიბკნეხტი, მთავრობამ აკრძალა მანიფესტაციები.

ლოიდ ჯორჯი მოითხოვს საზავო კონფერენციაზე ბოლშევიკები იყვნენ მოწვეული.

საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის სოციალისტებს მხურვალე აქვთ ინტერნაციონალურ კონფერენციის მოწვევაზე.

სენაკის საქალაქო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. 20 ხმოსნიდან 12 გაიყვანეს ერ.-დემოკრატებმა დანარჩენი 8 ყველა სხვა პარტიებმა.

## არჩევნების თავისუფლებისათვის

საარჩევნო კამპანიის წარმოება შეუძლებელი იქნება თუ სასტიკათ არ იქნა დაცული საარჩევნო აგიტაციის თავისუფლებაც. ხალხს უნდა მიეცეს საშუალება თავისუფლად გაერკვიოს წარმოდგენილ სიებში და უშუალოდ დააფასოს ღირებულება იმ პარტიათა კანდიდატების, ვისაც უნდა მიანდოს მან თავის რწმუნებულება ხალხის ბედის გადასაწყვეტათ.

ყველაზედ უფრო ამ წესიერების ელემენტარული კანონიერების დაცვა მართებს დღევანდელ მართველ პარტიას—სოციალ-დემოკრატიას, რომლის ხელშიაც იმყოფება ის ადმინისტრატიული აპარატი, რომელიც საარჩევნო კანონის ძალით მოწოდებულია ფხიზლად ადევნოს თვალყური არჩევნების კანონიერ მსვლელობას.

სამწუხაროდ ადმინისტრაცია არამც თუ იცავს ამ წესიერებას, თვითვე იღებს აქტიურ მონაწილეობას წესიერების დარღვევაში. ჩვენ საკმაო მასალა მოგვეპოვება ამ თვითნებობის დასამტკიცებლად, მაგრამ ერთი ფაქტი, შეუძლებელია, რომ გამოქვეყნებული არ იქნეს. საჩხერის რაიონში დატუსაღებულ იქმნა ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის წევრი გიორგი გუჯეჯიანი. დატუსაღებულ იქმნა, უმიზეზოთ, სრულიად მოულოდნელათ და არავითარი გამამტყუნებელი საბუთები მისდამი წარდგენილ არ იქმნა, გარდა ერთი საბუთისა, რასაკვირველია, რომ იგი აქტიურად საარჩევნო მუშაობას ეწეოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ.

მთელი რიგი დაკითხულ მოწმეებისა, ჩვენი პარტიის გარეშე მყოფი პირნიც კი, ამტკიცებენ რომ, ადმინისტრაცია ბ-ნ გუჯეჯიანის დატუსაღების შემდეგ მხოლოდ ჰკრეფდა მის შესახებ ცნობებს და აიძულებდა ზოგიერთ პირებს ცუდი ჩვენება მიეცათ მის შესახებ. საკმარისია მოვიყვანოთ საჩხერის რაიონის კომისარის ვინმე ფირცხალაშვილის პასუხი, ჭიათურის კომიტეტის შეკითხვაზედ, რომ აშკარა იქნეს, თუ როგორ მოქმედებასთან გვაქვს საქმე:

ბ-ნი კომისარი სწერს:

„1) ჩემამდის აღწევდა ხმები, რომ საჩხერის რაიონში მოკალათებულა ერთი ძლიერ მავნებელი ელემენტი გიორგი გუჯეჯიანი, რომელიც ცნობილია თავისი პროვოკატორული მოქმედებით. მე არავითარი საბუთი არ მქონდა მის წინააღმდეგ იმ დროს მის დატყვევებისთვის, მხოლოდ თვალყურს კი ვადევნებდი.

შემდეგ კი ბ-ნ კომისარს ცნობა მოსვლია გუჯეჯიანის „პროვოკატორულ" მოღვაწეობისა და დაუტყვევებია იგი:

აი დანაშაული: გუჯეჯიანი ამხედრებს ხალხს მთავრობის წინააღმდეგ და, კერძოთ ქართველებს სომხების წინააღმდეგ.

„გამოძიება სწარმოებს. დაკითხულ მოწმეების ჩვენების აღწერას არ ვცნობ საჭიროთ".

ვინმე ვაშაძე კი აი რას აჩვენებს: და უბრძანებია მიეცა გუჯეჯიანის შესახებ ისეთი ჩვენება, როგორიც კომისარს სურდა. მოწმობის უარზედ კომისარის ამხანაგს—იგი მყოფ ოფიცერს, მოწმისთვის სილა გაურტყამს, და დამუქრებია, რომ „17 წელიწადი გაივლის, რომ ციხეში იქნები, თუ არ თქვი გუჯეჯიანის პროვოკაციული მოქმედებს.—ასე აწარმოებს გამოძიებას ხსენებული კომისარი.

ნუ თუ მარტო მის ჩვენებაც კი საკმარისი არ არის, რომ ასეთი თვითნებობა დაუყონებლივ ალაგმული იყოს და დამნაშავენი სასტიკათ დაისაჯონ.

## საქართველოს საკითხი ინგლისსა და საფრანგეთში

(დავით ღამბაშიძის კერძო წერილიდან).

ზოგიერთი ცნობები ბ-ნ ღამბაშიძის კერძო წერილიდან უკვე მოთავსებულია გაზეთ „საქართველოში" და „ბორბაში", მაგრამ ქართველ საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება მთელი წერილის გაცნობა.

...ერთი სამწუხარო შეცდომათაგანი, რომელიც საქართველომ ჩაიდინა, და რომელიც მე ძლიერ მაწუხებს, ის არის, რომ მან კავშირი არ დაიკავა შეთანხმების სახელმწიფოებთან, რომ მათის დახმარებით განმტკიცებულიყო ჩვენი დამოუკიდებლობა

თუმცა ბევრმა იცოდა, რომ მე ლონდონში ვიმყოფებოდი, მაგრამ მაინც არავინ არ გაისარჯა, რომ აღვეჭურვეთ სათანადო მანდატით, რომელიც საჭირო იყო, რომ მემოქმედა საქართველოს დამოუკიდებლობის მოკავშირეთა მიერ ცნობისათვის.

18 თვეა, რაც საქართველოს საკითხის პროპაგანდას ვეწევი მით, რომ ვათავსებ წერილებს გაზეთებში და ვმართავ საჯარო ლექციებს და შემიძლია დარწმუნებით ვსთქვა, რომ ჩვენი ისედაც მძიმე მდგომარეობა, გაცილებით უარესი იქნებოდა, რომ ეს მუშაობა არ ყოფილიყო.

სომხებმა ყველა საშუალება იხმარეს, რომ დაერწმუნებინათ საზოგადოებრივი აზრი აქ და საფრანგეთში, რომ ჩვენი „ღალატი" არ ყოფილიყო „გმირი" სომხები, არამც თუ შეაჩერებდენ გერმანელების ლტოლვას აღმოსავლეთისაკენ, არამედ თავიანთ კანონებით გაანადგურებდენ ოსმალებსაც და დაიპყრობდნენ მთელს მცირე აზიას.

სამწუხაროდ, თქვენ მანდ მხოლოდ გული მოგდიოდათ, და ალბად ფიქრობდით, რომ ეგეც საკმარისია.

ნუ დაივიწყებთ, რომ აქაური სომხების ახალშენი რამდენიმე ათასი კაცისაგან შესდგება და ძალიან დიდი ფულია მათს განკარგულებაში და თავის პროპაგანდას 40 წელი მაინც არის, რაც ეწევიან.

შემდეგ, მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ძალიან მრავალრიცხოვანი რუსული ახალშენი აქაც და საფრანგეთშიც ყველა საშუალებით სცდილობს, ყოველივე ჩირქი მოგვცხოს. მე მიხდებოდა საოცარი ბრძოლა მათთან და ამ ბრძოლაში სრულებით განმარტოებული ვიყავი, სრულებით მოწყვეტილი სამშობლოს.

წარსული წლის დეკემბერში დავაარსე ინგლისურ-ქართული საზოგადოება ლორდ Bryce-ის თავმჯდომარეობით; ამ საზოგადოებამ საკმაოთ თვალსაჩინო ყურადღება და სიმპატია მოიპოვა მრავალ გამოჩენილ ინგლისელთა შორის.

ამასთანავე დავაარსე ქართული ცნობათა ბირო, რომ სწორი და უტყუარი ინფორმაცია მიგვეცა ჩვენი ქვეყნის შესახებ ინგლისისა და ამერიკის პრესისათვის.

მაისში ვიყავი პარიზში და დავაარსე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ნ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით.

ამ კომიტეტს ძალიან დიდ დახმარებას უწევს საფრანგეთის მინისტრი ბ-ნი ალბერტ ტომა.

ვიდრე ამ ბარათს მიიღებდეთ, მე იმედი მაქვს სატელეგრაფო ურთიერთობაც მოვაწყო თქვენთან.

საზავო კონფერენცია ამ დღეებში გაიხსნება და აპრილამდის გასტანს.

ამ დღეებში აქ უნდა ჩამოვიდეს ზურაბ ავალიშვილი მეუღლით და პარიზში, მოგვიხდება წასვლა, რომ ჩვენი საკითხები წარვადგინოთ საზავო კონფერენციაზედ. მაქვს იმედი, რომ საქართველოს დელეგაციაც დროულად ჩამოვა, რადგან ჩვენი საკითხი გადასწყდება პარიზში სწორეთ ერთ თვეში.

ლაპარაკი რაიმე ფედერაციის შესახებ რუსეთთან, რომელიც მხოლოდ სთელავდა ჩვენ ქვეყანას, ყოვლად შეუძლებელია.

საქართველო უნდა დარჩეს დამოუკიდებელი თავის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საზღვრებში და მტკიცე კავშირი გააბას ინგლისთან და საფრანგეთთან.

წარსული დეკემბრიდან არავითარი ცნობა და არც გაზეთი საქართველოდან არ მომიღია.

ამ ჟამად ვსარგებლობ შემთხვევით და ამ წერილს ვატან ბატ. ედმონდ შარლნერს, რომელიც გაზეთ „ტაიმს"-ის სპეციალურ კორესპონდენტათ მოემგზავრება თბილისში სამწუხაროდ ამას უგვიანდება და ამიტომ წერილის გათავება მიხდება.

მე სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენები, ჯეროვნად მოაწყობენ ამ ბარათის მომტანს ჩვენს დედა ქალაქში და მისცემენ საშუალებას ჯეროვნად გაეცნოს საქართველოს".

## მოხალისეთა ჯარი და საქართველო

უკანასკნელ დღეებში საქართველოს მთავრობას ცნობები მოსდიოდა, რომ სოჭის ოლქის იმ მხარეში, რომელიც დენიკინის მოხალისეთა არმიას უკავია დიდძალი ჯარი გროვდებოდა.

ამ ცნობათა გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. საბახტარაშვილმა და სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენ. გედევანიშვილმა საგანგებო განცხადებით მიმართეს ინგლისის მისიის შტაბს თბილისში.

ბ-ნ საბახტარაშვილის შეკითხვაზედ, შეუძლია თუ არა საქართველოს მთავრობას დარწმუნებული იყოს, რომ მოხალისეთა არმია საქართველოს წინააღმდეგ არ გამოილაშქრებს, ინგლისის შტაბის უფროსმა სთხოვა მთავრობის წარმომადგენლებს დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ მოხალისეთა ძალები გროვდებიან სოჭის მხარეში, მხოლოდ ტეხნიკური მოსაზრებით და არავითარი აგრესსიული მიზნები საქართველოს წინააღმდეგ მას არა აქვს;

რაიმე მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ ინგლისის მისია, იცნობს, როგორც მტრულ მოქმედებას მოკავშირეთა მიმართ.

## ეროვ.-დემოკრ. პარტიის გამარჯვება სენაკში

სენაკში საქალაქო არჩევნები დასრულდა. ასარჩევი იყო 20 ხმოსანი; ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 12 კანდიდატი, ხოლო სამმა სოციალისტურმა პარტიამ: სოც.-დემოკრატებმა, სოც.-ფედერალისტებმა და ესერებმა მხოლოდ 8 კანდიდატი.

## სტ. ვოლსკი—საქართველოს წარმომადგენელი ინგლისში.

„ტიფლ. ლისტოკი" შემდეგ საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს:

სტანისლავ ვოლსკი, ნახევრათ ბოლშევიკური მიმართულების გაზეთის „ნოვაია ჟიზნის" ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს მთავრობის დავალებით, ამ დღეებში მიემგზავრება ინგლისში, რომ იქ პროპაგანდა გასწიოს საქართველოს სასარგებლოდ.

## შეერთებული სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

გაზ. „ტიფლ. ლისტოკში" არ ვიცით, რომელი წყაროდან, შემდეგი საინტერესო ცნობაა მოთავსებული: „პარიზში გამოცხადებულ იქმნა შეერთებულ სომხეთის დამოუკიდებლობა. კაბინეთს მესვეურობს პოღოს ნუბარი; გარეშე საქმეთა მინისტრი—ნორატუნგიან გაბრიელ; შინაგან საქმეთა მინისტრი—მარტიკიან ვოსკან; სახალხო განათლების მინისტრი—ჩობანიან არშაკა (ცნობილი პუბლიცისტი და გაზ. „მშაკის" კორესპონდენტი). შეერთებულ სომხეთის მთავრობამ უკვე ელჩები დაჰგზავნა ამერიკაში, ინგლისსა და საფრანგეთში. შეერთებულ სომხეთის კაბინეთში ზოგიერთა პორტფელი დაეთმობათ რუსეთის სომხობის წარმომადგენელთ.

## ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა საქმე. ს სამართლოში.

თბილისის სასამართლო პალატაში გაირჩა ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა პოლკ. შმაგაილოვისა და მ. კუჩარიანცის საკასაციო საჩივარი

ამ პირებს თბილისის საგანგებო სასამართლოს მიერ მისჯილი აქვთ სიკვდილით დასჯა.

პალატაში, საქმის გარჩევის დროს, თავმჯდომარეობდა ბ-ნი მღვდლიშვილი; მოსამართლეებათ იყვნენ ა. გ. გელოვანი და კ. მ. შნეიდერი.

ბრალს სდებდა პალატის ბრალმდებელი ან. გელახინოვი ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილნი კ. დ. ზელენსკი და პოპოვიანი.

სამოსამართლო პალატამ ბრალდებულთა შუამდგომლობა არ შეიწყნარა. დამცველთ განზრახული აქვთ საგანგებო თხოვნით მიმართონ მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოე ჟორდანიას.

# ქრონიკა

გზათა მინისტრი. გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე 17 იანვრიდან განთავისუფლებულია ერთის თვით თავის თანამდებობიდან; მის მოვალეობის შესრულება მიენდო მინისტრის ამხანაგს ბ-ნ მალანიას.

სახელმწიფო ბეჭედი. კულტურისა და შრომის კავშირის შტემპელების ქარხანა (ნიკოლ. ხიდი № 21) გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათ, რომელთაც სურთ სახელმწიფო ბეჭდების დაკვეთა ოფიციალური ქაღალდით უნდა მიმართონ ქარხნის გამგეს. ბეჭდები მზადდება საქართველოს ღერბის ავტორის ი. ა. შარლემანის ხელმძღვანელობით.

„ესტეტიური ლიგა პატრიოტების". საქართველოს დამფუძნებელ კრების მომწვევმა კომისიამ დაამტკიცა საკანდიდატო სია № 14. „ესტეტიური ლიგა პატრიოტების". სიას ადგენენ ქართველი პოეტები, მწერლები და მხატვრები; კანდიდატები: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ვლადიმერ გუდიაშვილი და ალექსი არსენიშვილი.

მომრიგებელ მოსამართლენი სიღნაღის მაზრაში. სიღნაღის სამაზრო ერობამ მომრიგებელ მოსამართლეებად აირჩია: გურჯაანის უბანში ს. კლიმიაშვილი, ქვედალოსაში—შ. ტატიშვილი, ლაგოდეხისაში ს. სარაჯიშვილი, ქვემო მაჩხაანისაში ნ. გოცირიძე.

მატარებლის დაჯახება. 28 იანვარს გომისა და აგარას შუა ინგლისის საბარგო მატარებელი № 200 დაეჯახა ცარიელ ვაგონს, რომელიც იდგა გომიდან 190 ვერსზე. უკანასკნელი ძლიერ დაზიანდა; დაზიანებულია აგრეთვე № 200-ის შემადგენლობა. მატარებელში მყოფი ხალხი უვნებლად დარჩნენ. გზაზე მიმოსვლა შესწყდა 7 ს. განმავლობაში.

გემების მიღება. გზათა სამინისტროს განკარგულებით ფოთში გაემგზავრა კომისია ინჟინერ პესტრიაკოვსკის მეთაურობით გემების მისაღებათ.

28 იანვარს ხახადით გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი გ. მირაღიანი.

გარეშე საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სომხის პარლამენტის თავმჯდომარე ა. საჰაკიანი დაუბრკოლებლივ გამოუშვან საქართველოში.

ტყვიბულის მაღაროებში მუშაობა განახლდა.

ადერბეიჯან-საქართველოს რკინის გზებზე. ადერბეიჯანის გზათა მინისტრმა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანის მთავრობასთან სთხოვა ყურადღება მიაქციოს რომ საქართველოს რკინის გზები აკავებენ ვაგონებსა და მანქანებს, რომლებიც ოსმალეთის მოჰყვება. ამან ძლიერ შეამცირა ვაგონების რიცხვი და საშუალება არ არის ინგლისის სამხედრო ძალის გადმოსაყვანად. ბ. ქარცივაძემ სთხოვა საქართ. გზათა სამინისტროს დატოვებული ვაგონები დააბრუნონ.

საქართველოს რკინის გზის უფროსმა აცნობა სხვა და სხვა სამინისტროებს და ცენტრალურ დაწესებულებებს, რომ უკანასკნელ დროს გახშირდა ვაგონების უნებართოდ გაგზავნა. ასეთი შემთხვევა შესაძლოთ ქმნის ბოროტმოქმედების გახშირებას ასეთ არანორმალურ შემთხვევებში არიან, როგორც გზის აგენტები, აგრეთვე ცენტრალური დაწესებულებები რომლებიც არ სცდილობენ თავის დროზე საბუთების დამზადებას და უნებართოდ სარგებლობენ ვაგონებით. რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ვაგონების გაგზავნის დროს დაცული იყოს ყველა კანონები, არავის მიეცეს ვაგონები უსაბუთოდ. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს სასტიკად იქნება დასჯილი.

საარჩევნო ცენტრალურ კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე წინადადება მისცა პარტიების წარმომადგენელთ, დაბეჭდონ საარჩევნო სიები, რამდენიც და რომელ ენაზედაც უნდათ.

საქ. სოც.-დემოკრატები ბეჭდავენ სულ 2.612,000 ცალს.

| | | |
|---|---|---|
| აქედან | ქართულ ენაზე . | 1.690,000 |
| | რუსულ ენაზე . | 335,000 |
| | სომხურ ენაზე . | 367,000 |
| | თათრულ ენაზე . | 22,000 |

№ 2 ეროვნულ-დემოკრატები—1,655000 ქართულ ენაზე 1,550000, რუსულ ენაზე 40000 თათრულ ენაზე 65000.

№ 3 სოც. რევოლიუციონერები—1,922000.

№ 4 დაშნაკელები—1.274000, ქართულ ენაზე, სომხურ ენაზე 825000, რუსულ ენაზე 219000.

№ 5 ფედერალისტები—1200000.

№ 6 მუსულ. ეროვნულ საბჭო 50000.

№ 7 რად.-დემოკრატები 550000.

№ 11 დამ. ეროვნულ-დემ. 740000.

№ 12 ბორჩალოს მუსულმანები 83000 ქართულ და თათრულ ენაზე.

№ 14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტების" 250 000 ქართულ და რუსულ ენაზე.

ტეხნიკური საზოგადოება. ამა წლის 30 იანვარს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე შესდგება კრება ჰიდროტეხნიკულ სექციის ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. კრება გაიმართება ყოფილ კადეტთა კორპუსში (სახაზინო თეატრის გვერდით) შესავალი გოლოვინის პროსპექტიდან. მიუხედავად იმისა თუ რამდენი წევრი დაესწრება, კრება ჩაითვლება კანონიერად. ამისთვის საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

მასწავლებელთა კრება. კვირას, თებერვლის 2-ს, საღამოს 6 საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია საშუალო სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელზეც დასწრება სავალდებულოა. შესავალი კლასიკური ქუჩიდან.

რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია მოკავშირეთა სახელმწიფოს მისიასთან. 26 იანვარს რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაციამ ინგლისის ჯარების მთავარსარდალი კავკასიაში გენ. ფორესტიე ფოკერი ინახულა და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი. 27-ს იმავე დელეგაციამ საფრანგეთის მისიის თავმჯდომარე პოლკ. შარლინი ინახულა.

## მხატვრული ქრონიკა

მუსიკალურ სასწავლებლის გახსნა ქუთაისში. კვირას, 2 თებერვალს, ქუთაისში გაიხსნება თბილისის მუსიკალურ სასწავლებლის ფილიალური განყოფილება მუსიკალური სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნის წინ გადახდილი იქნება პარაკლისი და გაიმართება მუსიკალური დილა.

საღამო „იმედ"-ში. სასადილო „იმედში" (ძველი სემინარიის შენობა) შაბათს, 1 თებერვალს, გაიმართება დიდი მხატვრული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: პოეტები, მომღერლები და არტისტები.

## პროვინციის ცხოვრება

ია ეკალაძე. ბ-ნი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) დასახელებული იყო ჩვენს საკანდიდატო სიაში დამფუძნებელ კრებისათვის; იგივე კანდიდატურა წარდგენილი იყო ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ"-დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების მიერაც.

ვინაიდან ხსენებულ კანდიდატის თანხმობა მხოლოდ ვეშაპელის მიერ იქმნა წარდგენილი, ბ-ნი ეკალაძე დამტკიცებული იქმნა... როგორც „ეროვნულ" პარტიის კანდიდატი;

„მხოლოდ გუშინ, როდესაც თანხმობათა წარდგენის ვადა უკვე დასრულდა, ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ეკალაძისაგან შემდეგი დეპეშა:

თანახმა ვარ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ წარადგინოს ჩემი კანდიდატურა დამფუძნებელი კრების არჩევნებში. იაკობ თომას ძე ცინცაძე.

რადგანაც ბ-ნ ეკალაძის თანხმობა ჩვენ დაგვიანებით მოგვივიდა, იგი ამჟამად მის და უნებურათ „ეროვნულ" პარტიის სიაში რჩება.

## მთავრობის ცნობები

### იუსტიციის სამინისტროში

დუშეთის ამბოხების საქმე. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა ა. ს. გელაზარიშვილმა იუსტიციის მინისტრს მოხსენება წარუდგინა დუშეთის ამბოხების შესახებ. მოხსენება ამ დღეებში წარედგინება მთავრობას, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს საქმის მსვლელობის შესახებ.

სამტრედიის ტრიბუნალი. ამ დღეებში სამტრედიის ტრიბუნალის საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა. ტრიბუნალის საქმეები ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს გადაეცა.

საგანგებო სასამართლო 1 თებერვლიდან რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო ქ. სოხუმში მოქმედებას დაიწყებს. ხსენებულმა სასამართლომ ქუთაისში უკვე დაიწყო მოქმედება.

მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირები იუსტიციის სამინისტროსადმი მოსულ ცნობებით სამაზრო ერობები ვერ შოულობენ ჯეროვან რიცხვს სათანადოდ მომზადებულ პირთა მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის დასაჭერად. მიზეზად ჯამაგირის სიმცირეს ასახელებენ. იუსტიციის სამინისტროში მუშავდება კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირების მომატების შესახებ.—განზრახულია აგრეთვე სასამართლოს გამომძიებელთა ჯამაგირების გადიდება. ამათ შესახებ მთავრობას სათანადო კანონ-პროექტი წარედგინება.

## † ვალერიან შალიკაშვილი

მე მას ვიცნობდი.

ხელოვნების პატივისმცემელ ახალგაზრდას ის ყურადღებით და სიყვარულით უსმენდა.

ის მშვიდი და დინჯი იყო ბაასში და აუჩქარებელი, დაკვირვებული სცენაზე როლის განსახიერების მომენტში ის ენერგიულად ზრდიდა ახალგაზრდებს.

ის ამხანაგი იყო სცენის გარეთ, მაგრამ სცენაზე მუშაობის დროს იყო საჭიროდ მკაცრი, საქმის ღირსეული მსახური, მოვალეობის წმინდა აღმასრულებელი.

მას წილად ხვდა ხანგრძლივი მსახურება ხელოვნებისადმი საქართველოს პოლიტიკური მონობის დროს და მეტად ხანმოკლე იყო მისი სუნთქვა თავისუფალ ეროვნულ განახლებულ ატმოსფეროში.

მისი დრამატიული ლოცვა საყვარელ სამლოცველოში გატაცებით ახლა ისმოდა, მაგრამ ბუნების მკაცრი კანონიერებამ მისი ლამაზი ლოცვას საწყისშივე მისცა ტრაგიული ბოლო.

ქართული ხელოვნების მსახურნი და მოყვარულნი მწუხარებით გვაუწყებენ ვალიკოს განსვენებას.

მტანჯველია ამის თქმა და ძნელია ამისი მოსმენა, თუმცა ვალიკოს სულის ფიზიკური აგებულობა მუდამ გვაშინებდა.

ვალიკოს სულმა სხეულმა ვერ აიტანა თავის სამშობლოში შესაფერი მოვლა, პატივი და მოკლებული მზრუნველობას განისვენა.

შ. ღვამიჩავა

## ისაია დოლიძანოვი

ყველას მოეხსენება საარაკო წინათგრძნობა, რომელსაც იჩენენ გემის ვირთხები ზღვაზე ქარიშხლის მოახლოების დროს. ისინი გემიდან გარბიან ჯერ ისევ მაშინ, როდესაც გემი ნავსადგურში სდგას და ის-ის არის მზადება ზღვაში გასვლას.

დაკვირვებული მეზღვაურნი ამბობენ ხოლმე ამ დროს: ქარიშხალი მოვარდებაო და ნავსადგურიდან იძვრიან.

სწორედ ამისთანა ვირთხის ალღო გამოიჩინა,—

პროკურორმა საქართველოს სასამართლო პალატისამ ყოფილმა „მეტყველმა ვექილმა", ისაია მარკ...

ძე დოლუხანოვმა სომხეთის მთავრობის მიერ საქართველოზე ვერაგულ თავდასხმის სწორედ რამდენიმე დღის წინად ხსენებულმა პირმა დასტოვა სამოსამართლო პალატა და ისევ ჩაეწერა ვექილთა კორპორაციაში.

გავიხსენოთ, ვინ ბრძანდება ეს ვაჟბატონი?

ეს ის დოლუხანოვია, რომელიც საოცარი ტკბილი სიტყვით არწმუნებდა ყველა ქართველს, დიდი თანამგრძნობი ვარ ქართველი ერისო და ჩუმ-ჩუმად კი ყოველ სისაძაგლეს ჰქადაგებს და ავრცელებინებს საქართველოს შესახებ.

როცა ეკითხები მას „კავკაზსკოე სლოვოს" შესახებ, ის ყოველთვის გეფიცება, არავითარი კავშირი არა მაქვს ამ გაზეთთანაო.

ახლა კი, როცა „კავკაზსკოე სლოვო" მთავრობამ დაჰკეტა, პალატიდან გამოსული ისაია დოლუხანოვი არასფერს მოერიდა და პირდაპირ როგორც რედაქტორმა ხელი მოაწერა დაკეტილ გაზეთის მაგივრად გამოსულ „ზაკავკაზსკოე სლოვოს".

ამნაირად მან დაამტკიცა რომ ყოველი მტრული გამოსვლა, რომელიც ასე ახასიათებდა აქამდინ სოლოლაკელ თვალთმაქც ბურჟუების ორგანოს, ხდებოდა სწორედ იმ ვაჟბატონის ზე-შთაგონებით, რომელსაც ჩვენ სამოსამართლო უწყებაში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილთაგანი ეკავა. სწორედ ამ ოინბაზის წყალობით ეს ბურჟუაზიის ორგანო რევოლიუციის დროს სოციალისტურ სამოსელში გაეხვია, რომ „შორსმჭვრეტი" რუსის და სომხის შოვინისტები ესერები, დაშნაკები და კადეტები—შეერთებინა თავიანთ მხატვრულ პოლიტიკის საწარმოებლად კავკასიის ერთა წინააღმდეგ და ერთად საძოვარზე გაეშვა საკვებ-საკენკის მოსაპოვებლად.

ასე და ამგვარად! თუმცა ვირთხა გაიქცა გემიდან ქარიშხალის მომლოდინე, მაგრამ ალღო ვერაფერს მაინც ვერ აართვა. ნახტომი შეეშალა... ქარიშხალი, მართალია, ამოვარდა, მაგრამ გემი მაინც გავიდა ზღვაზე. სძლია ატეხილ ფურთვნას და უვნებელი დაბრუნდა სამშვიდობოში...

მეზღვაურებმა დაბრუნებისას ვირთხები ველარ აღმოაჩინეს გემზე...

ეს ყველა კარგი! მაგრამ ეს კი საწყენია: მეზღვაურნი თავის დროზე ვერ მიხვდენ, თუ დამფრთხალი ვირთხის გაქცევა რას ნიშნავდა...

ნესტარი.

# ეპიდემია

**თბილისის ანტისანიტარული მდგომარეობა და შავი ჭირი (წინწკლებიანი ტიფი.)**

წარმოუდგენელია ის საშიშროება, რომელსაც გვიქადის შავი ჭირის გავრცელება საქართველოში. ეს ჭირი პირველათ ძლიერ გავრცელებული იყო სომეხ ლტოლვილთა შორის და ეხლა დიდის სისწრაფით ედება მკვიდრ მცხოვრებლებსა და რამოდენიმე ჩვენი ექიმებიც იმსხვერპლა და საუბედუროთ გადამდებ სენთან საბრძოლველად დაარსებული საავადმყოფოები არ არიან საკმარისი და არც კარგათ არიან მოწყობილნი, რის გამო ძლიერ ცოტა ნდობა აქვთ მათ ხალხში მოპოვებული. სადეზინფექციო კამერაც სრულებით ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას, ავადმყოფები რჩებიან რამოდენიმე დღე თავის ბინაზე, რის გამო სენი სხვებზედაც გადადიოდა და გადადის. დიდად საჭიროა ბარაკებში იყოს განსაკუთრებული განყოფილება საეჭვო ავადმყოფთათვის, რადგან ხშირად შეხვდება ექიმი იმ გვარ ავადმყოფს, რომლის ავადმყოფობა გამოურკვეველია და ეჭვს ბადავს, სახლში დატოვება საშიშოა და ბარაკში საკონტროლო განყოფილება არ არის, რომ იქ დარჩეს ავადმყოფი ავადმყოფობის გამორკვევამდის.

ავადმყოფების გადასაზიდავი საშუალება თავიდანვე არ იყო საკმარისი. ხშირად რამოდენიმე ადგილას უნდა გაევლო ეტლს და ამ გვარათ ბევრ ავადმყოფს სჭირდებოდა ტყუილ უბრალოთ მთელი თბილისის შემოვლა და ეტლში რბილი დასაწოლიც კი არ მოიპოვებოდა. ამის გამო ავადმყოფები ისევ ფაიტონით ამჯობინებდენ ბარაკში წასვლას, ანდა ისევ სახლში რჩებოდენ. ბევრი ავადმყოფი ამ ცუდი პირობების გამგონნი, სრულებით წინააღმდეგნი იყვნენ ბარაკში წასვლის და ამით სენი უფრო ვრცელდებოდა.

დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ ძნელი გახდა ეპიდემიასთან ბრძოლა. ერთის მხრით ავათმყოფებს ვერ ვგზავნით ბარაკებში, სადაც ხშირად ალაგი არ მოიპოვება, მეორეს მხრით სახლში ავათმყოფებს არავითარი მოვლა არ აქვთ. სადეზინფექციო მასალა ძვირია, ერთი ბორჯომის ბოთლი განსნილი კარბოლის სიმჟავეს ფასი ორმოც მანეთამდის ადის, მე მყოლია ოჯახები, რომელთაც ამ გვარი საშუალების ხმარება 400 მანეთამდის დაჯდომიათ. მშობლებს ავათმყოფობის გადადების ეშინიათ და ამავე დროს სისუფთავეს ვერ იჭერენ და სენი ძლიერ ვრცელდება. ავათმყოფების სახლში გაჩერება მხოლოდ იმ პირობით შეიძლებოდა, თუ დაცულ იქმნებოდა დიდი სისუფთავე და თუ მოახდენდნენ ავათმყოფის განცალკევებას, იზოლიაციას. რამოდენიმე ოჯახში მყავდა შავი ჭირით ავათმყოფები. მშობლებმა არ მოისურვეს ბარაკში წაყვანა, რადგან ხალხში უსაფუძვლო ხმებია გავრცელებული ვითომ იქ ავათმყოფებს არ უვლიან, მაგრამ შემპირდენ შესაფერისი ზომებს მივიღებთო. დამპირდენ და კიდეც პირობა შემისრულეს, მხოლოდ ეზოში მატყუებდენ, ბავშვები არ გაეხიზნათ, ვიზიტის დროს მიმალავდენ, მაგრამ სასტიკი სისუფთავეს გამო არც ერთი შემთხვევა ყოფილა სენი ვისმეს გადასდებოდეს. ქუნთრუშის, ყვავილის, წითელას შესახებ ამგვარმა ზომებმა ვერა გასჭრა და სენი სხვას ადვილათ გადაედო. ამ გარემოებამ ძლიერ დამარწმუნა, რომ შავი ჭირი მხოლოდ კბენარების წყალობით გადადის ერთისაგან მეორეზე. ეგ არის მიზეზი, რომ შავი ჭირი იქ მძვინვარებს ხოლმე, სადაც სისუფთავე არ არის, სადაც პარაზიტები: ტილი, რწყილი, ბაღლინჯო ბლომათ მოიპოვებიან ამის გამო ამ ავათმყოფობას იძენენ სარდაფებში, ბნელ ოთახებში, ვაგონებში, სადაც ეხლა მეტადრე დიდი სიბინძურეა. აბანოებშიაც იძენენ ავათმყოფობას, რადგან აბანოში ავათმყოფებისაგან კბენარები რჩებიან. აი მაგალითიც. ექიმმა ლაზარეთში ვანა მიიღო. თურმე იმ ვანაში წინეთ ჭირიანს ტანი დაებანა ექიმმა იგრძნო, რომ რაღაცამ უკბინა და მართლაც კბენარი გამოდგა. ორ-სამ დღეში ექიმი ავათ გახდა და მეშვიდე დღეზე სული დალია. აი როგორი სიფრთხილე სჭირს ეხლა ადამიანს აბანოში. ყოველ შემთხვევაში ვანაში ჩასვლა არ ღირს.

ვინ იცის რამდენს სასარგებლო ადამიანს გამოასალმებს ეს სენი წუთი სოფელს, რამდენს სასარგებლო მუშას მოაკლებს ჩვენს ისედაც მცირე რიცხოვან ერს, ომისაგან ისედაც დაზარალებულს. კარგათ უნდა ვიცოდეთ ყველამ, რომ ეს სენი სიბინძურესთან არის შეკავშირებული. წინეთ ეს სენი გვეწვეოდა ჩვენ რუსეთიდან მოსული მაწანწალა (ბოსიაკები) ხალხისაგან და თათრების და მათი მოსაზღვრე სომხების წყალობითი. ჩვენმა რესპუბლიკამ ეს უნდა მიიღოს მხედველობაში და ყოველგვარი მკაცრი ზომები, კარანტინებიდან დაწყებული, უნდა განახორციელოს.

დიდად სასურველია, რომ თბილისში სანიტარული საქმე საიმედო ადამიანების ხელში იყვეს. ბარაკები ბლომად და კარგად მოწყობილი უნდა გვქონდეს, რომ ხალხს არ ეშინოდეს შიგ დაწოლა. თუ მაინც და მაინც არ დაიშლის რომელიმე მშობელი, ავადმყოფთან ყოფნას და მისი მოვლას, სასურველია, რომ ეს არ ეკრძალებოდეს მშობელს, რადგან უფრო არ დამალავენ ავადმყოფებს.

1) ამასთანავე ავადმყოფების გადასაზიდავი მასალა ბლომათ უნდა იყვეს და რიგიანად უნდა იყვეს მოწყობილი რამდენი ავტომობილი ტყუილუბრალო დაგრიალობს თბილისში.

2) დეზინფექცია ავადმყოფების წაყვანის შემდეგ უცბად და რიგიანად უნდა ხდებოდეს სახლებში.

3) ბარაკებში უნდა იყვეს განყოფილება საეჭვო ავადმყოფთათვის.

4) მეტად სასურველია, რომ ხელმოკლე ხალხისათვის სისუფთავესთვის საჭირო წამლები მუქთად იყვეს.

5) საჭიროა დიდი სისუფთავე იყვეს იქ, სადაც ხალხი ბლომად იკრიბება, მაგ. ვაგზლებში და სხვა ადგილებში.

საზოგადოდ ყოველი შეჯგუფება, როგორიც არის ბავშვების გასართობები და სხვა დროებით აკრძალულ უნდა იქმნას. ამ ბოლო ხანებში სკოლებშიაც მოიკიდა ფეხი შავმა ჭირმა და შეიძლება საჭირო იქმნას მათი დროებით დახურვა, მხოლოდ ეს მიაღწევს მიზანს მაშინ, თუ ბავშვებს მშობლები გაუფრთხილდებიან და ტყუილუბრალოდ ხეტიალის ნებას არ მისცემენ.

ბევრი რამ ცუდი მოგველის მომავალში, თუ ქართველები ძლიერ ფრთხილად და ერთსულოვანად არ ვიქნებით. ხალხი დამშეულია და მეტად ნერვებ-აშლილი. ამ პირობებში ყოველგვარი ეპიდემია მომავალში უფრო მოსალოდნელია. ყველა მხრიდან ჩვენში მორბიან, მოსვენებას და განცხრომას მხოლოდ ჩვენში პოულობენ, მაგრამ მაინც უმადურობას იჩენენ და კეთილის მქნელ მასპინძელს უსინდისოთ გვმტრობენ. თავისი საქმე თავის ქვეყანაში ვერ მოუწყვიათ და ღვარძლიანად და შურით ყოველ საზიზღარს საშუალებას ხმარობენ, რომ ჩვენს თავისუფლებას, რომლის საშუალებით ჩვენ დღეს გვიდგია სული და კარგი მომავლისაკენ გვიჭირავს თვალი, განსაცდელს უქადიან. ამას ჩვენ კარგად უნდა ვგრძნობდეთ მთელი არსებით და შეერთებული ძალებით ამ ბოროტებას უმკლავდებოდეთ.

უპირველესად ჩვენი ქალაქის არჩევნების ბრწყინვალეთ შესრულებაა საჭირო. უამისოდ ქალაქის ძველი თვითმმართველობა, ეს ნამდვილი ბუდე ყოველგვარი ეპიდემიისა, ყოველგვარი ვერაგობისა, არ იქნება დანგრეული და ეს ხომ ჩვენი დამარცხება იქნება.

ე. ვაშაკიძე.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

## ფრანგული პრესა

**შვეიცარია და ხალხთა ლიგა.**

შვეიცარიის კონფერენციის თავმჯდომარე გუსტავ ადლერი, რომელიც 5 დღე იყო პარიზში, ორშაბათს ბერნში დაბრუნდა. არაფერი იციან იმ მოლაპარაკების მიზნების შესახებ, რომელიც ამ დღეების განმავლობაში სწარმოებდა ადორსა და ამ ჟამათ პარიზში მყოფ დიდ სახელმწიფოების მოღვაწეთა შორის. ადორთან დაახლოვებულმა პირმა ადორის სახელით შემდეგი განუცხადა „ტანის" რედაქტორს: კონფერენციის თავმჯდომარე გაემგზავრა პარიზში ფედერატიულ საბჭოს სურვილით, დიდ სახელმწიფოების მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლათ. გუსტავ ადორი დიდი მადლობელია პარიზის მცხოვრებლებისა იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მისდამი და განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პრეზიდენტისა. პრეზიდენტ ვილსონისა, საფრანგეთის მთავრობისა და მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, რომლებთანაც მას საუბარი ქონდა. ადორმა მიუთითა მათ შვეიცარიის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ევროპის ცენტრში და მიღებულ ვალდებულებათა ასრულებაზე. მან განაცხადა სურვილი მიიღოს შვეიცარიამ მონაწილეობა იმ კომისიებში, სადაც განხილულ იქნება ხალხთა ლიგის საკითხი. ადორმა განაცხადა, რომ შვეიცარიას სურს შევიდეს ხალხთა ლიგაში თავის დამოუკიდებლობით და შინაურ პოლიტიკურ ორგანიზაციით.

**ლოიდ ჯორჯი რუსეთის შესახებ.**

**ბერლინი.** იანვრის 26. „ფორვერტს"-ში დაბეჭდილია ლლოიდ ჯორჯის მიერ საზავო კონფერენციაზე რუსეთის შესახებ წარმოთქმული სიტყვები. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა გალაშქრება რუსეთზე ფართო მასშტაბით შეუძლებელია, მცირე მაშტაბით გალაშქრებასა და ეკონომიურ ძალდატანებას მნიშვნელობა არ ექნება. ის წინადადებას იძლევა საზავო კონფერენციაზე მიიწვიონ ბოლშევიკები.

**ჟორესის მოკვლის საქმე.**

**ბერლინი.** იანვრის 26. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ იანვრის 24 დაიწყება ჟორესის მკვლელის ვილენის საქმის გარჩევა.

**ესტონიაში**

ოფიციალური ცნობა ესტონიიდან: ჩვენი ჯავშნიანი მატარებლები და ქვეითი ცხენოსან ჯარის რაზმები სამხრეთ ფრონტზე წინ მიიწევენ. მათ დაიჭირეს რამოდენიმე სოფელი და სადგურები ვინდედორფი და ლიუკედორფი. (?) ლიუკედორფის მიმართულებით ჩვენ ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ზარბაზანი.

**ლუვენის გაშენება**

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ლუვენის სათემო მართველობამ გადასწყვიტა კვლავააშენოს ქ. ლუვენი, სადაც 150 სახლი გადასწვეს გერმანელებმა.

**ბელგიის რკინის გზები**

ქ. ლილში ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლების შორის დაიდო კონვენცია, რომლის ძალითაც ბელგიის რკინის გზების მართველობა სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში იქნება.

**გერმანელების ბრძოლა ბოლშევიკებთან**

გერმანიის მთავრობის მოხალისეთა რაზმებმა იანვრის 26 მდინარე ვინდავაზე უკუაქციეს ბოლშევიკები, რომელთა ძალებიც გერმანელებისას აღემატებოდა. ბოლშევიკები დიდათ დაზარალდენ და მდინარიდან უკან დახევის დროს დიდძალი სამხედრო მასალა ჩაუვდეს ხელში გერმანელებს. გერმანელების დანაკლისი უმნიშვნელოა.

**გერმანელები ლიტვაში**

გერმანიის მთავრობის კომისარი ლიტვიდან იუწყება, რომ ბოლშევიკებს კოვნო ჯერ არ დაუჭერიათ, ისინი 40 ვერსის სიშორეზე იმყოფებიან. იქ დაამყარეს სადემარკაციო ხაზი, რომელიც გერმანიის მოხალისეთა ჯარს უჭირავს. 5 დღის წინათ მოლაპარაკება მოხდა ჩვენს პირდაპირ მდგომ ბოლშევიკურ პსკოვის პოლკის უფროსთან, რომელსაც განუცხადა, რომ გერმანელები დაიცავენ სადემარკაციო ხაზს. ამის შემდეგ ბოლშევიკები წინ არ წამოსულან, რადგანაც როგორც ეტყობა, მოსკოვიდან ახალ განკარგულებას მოელიან, „ბერლინერ ცაიტუნგი ამ მიტაგ" აღნიშნავს, რომ თუ ბოლშევიკებმა კოვნოს მიაღწიეს. მაშინ გერმანიის აღმოსავლეთის საზღვარი მათთვის ღია იქნება. აქედან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოხალისეთა ჯარების მოქმედებას გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების დასაცავათ.

**ბოლშევიკი რადეკი**

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკების ლიდერი რადეკი აქომამდე ბერლინში იმყოფება. ყოველგვარი ცნობა იმის შესახებ, რომ მან შესძლო ბერლინიდან გაქცევა, სიმართლეს მოკლებულია. მის დასაჭერად ბრძანება არის გაცემული, აგრეთვე ბრძანებაა გაცემული ცნობილ სპარტაკელების ბელადის ეიხგორნის დასაჭერათ.

**გენერალი ლიუდენდორფი**

ბერლინის გაზეთები დასცინიან მოკავშირეთა სახელმწიფოების პრესაში გავრცელებულ მტკიცებას, რომ ლიუდენდორფი ხელმძღვანელობს პომერანიის მხრიდან რუსის ჯარს. გაზეთებს უკვირთ, ნუ თუ შესაძლებელია მოიძებნოს ისეთი მკითხველი, რომ დაუჯეროს ასეთ ცნობებს.

**ქალაქის არჩევნები**

**ბათუმი,** იანვრის 28. საქალაქო არჩევნების მოხდენაზე ჯერ გუბერნატორი არაფერს ამბობს. ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული რუსეთის დროებითი მთავრობის საარჩევნო კანონით არჩევნების მოხდენა გუბერნატორს ჯერ არ დაუმტკიცებია. სამაგიეროთ გუშინ გამოიცა ბრძანება გუბერნატორისაგან, რომლის ძალით ყველა წარსულ 20 დეკემბრის შემდეგ შამოსული, სამი დღის განმავლობაში საადრესო ბიუროში მოვალეა ჩაეწეროს და ვისაც სურს ბათუმში დარჩენა, მან ამის შესახებ ნებართვა უნდა აიღოს გუბერნატორისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დასტოვოს ქალაქი. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე ყველა უსაქმო და უპროფესიო პირებს. ამ ბრძანების დამრღვევს მოელის სამი თვე ციხე, ან სამი ათასი მანეთის ჯარიმა. ყველასათვის ცხადია, ვისი შავი ხელი მუშაობს აქ და ვის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს ბრძანება.

**ეროვნული საბჭოს არჩევა**

დღეს მოხდა ბათუმის ქართველების კრება. აირჩიეს ახალი ეროვნული საბჭო. ორმოცი წევრისაგან შემდგარმა კრებამ აირჩია კომისია, რომელიც წარუდგება გენერალ-გუბერნატორს და სხვათა შორის უკანასკნელ განკარგულებაზედაც ექნება მასთან საუბარი.

**გაზეთი „სამუსულმანო საქართველო"**

გუბერნატორის ბრძანებით დახურული „სამუსულმანო საქართველო" ჯერ არ გამოსულა.

**მოხალისეთა ჯარის ორგანიზაცია**

საოლქო საბჭო თანაგრძნობით ექცევა მოხალისეთა ჯარს. მან ნება დართო გაატანოს ბათუმიდან ჯარის საჭიროებისთვის ხუთასი ფუთი ნავთი.

**მილიციის უფროსი**

ქალაქის მილიციის უფროსათ დაინიშნა გუსეევი. ზემო აჭარის უფროსათ გაიდარბეგ-ბობოშ-ზადე. ართვინის სამილიციო უბნის უფროსათ ტეფიკ ეფენდიევი.

**ქალაქის არჩევნები**

**ოზურგეთი.** 26 იანვარს მოხდა ოზურგეთის თვითმართველობის არჩევნები. დიდი ავდრების გამო 5354 ამომრჩევლიდან ყუთთან გამოცხადდა 1446 ამომრჩეველი, რომელთაგან სოც.-დემოკრ. მიიღეს 1023 ხმა და გაიყვანეს 14 ხმოსანი. ეროვნულ-დემოკრატებმა 344 ხმა. გაიყვანეს 5 ხმოსანი. სოც-.ფედერ. 79 ხმა, გაიყვანეს 1 ხმოსანი. შარშანდელ შემადგენლობაში სოც-.დემოკრ. ჰყავდათ გაყვანილი თაესის სიითა, უპარტიო 1 და 2 ესერი ბლოკით. ესერებს ამ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა. მოხდა შემდეგი ცვლილება: შარშანდელი უპარტიონი გამოდგენ ეროვნულ-დემოკრატები. ერთის გამოკლებით ესერების ხმა მიემატათ მათ. სოც.-დემ. და სოც.-ფედერ. დარჩენ თავიანთი ძალებით.

**ლიბავა,** იანვრის 24. გერმანელები ქალაქს სტოვებენ სურსათი, რკინის გზის და სხვა ყოველგვარი მასალა თან მიაქვთ.

**დვინსკი,** იანვრის 26. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სპარტაკელების იერიშების დროს მთავრობის ჯარი ნაღმებით მოქმედობდა. აჯანყებულთა რიცხვი აღწევს 20000. მოკლულია 600.

**ლიონი,** იანვრის 24. ბერნში 8—10 თებერვლამდე საერთაშორისო კონფერენცია იწვევს პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალურ კონფერენციას.

**ტაშკენტი,** იანვრის 35. 19 იანვარს ღამით თეთრგვარდიელებმა ყოფილ სამხედრო კომისარის ოსიპოვის მეთაურობით განიზრახეს აჯანყება. საბჭოთა მთავრობის დასაცავათ პირველათ გამოვიდა კსლუგაევის რაზმი. სამხედრო ინსტრუქტორების სკოლა, მეოთხე საბჭოთა პოლკი, რკინის გზის და სხვა მუშები და მეციხოვნე ჯარი ბელოვის წინამძღოლობით. 20 იანვარს საერთო ძალით დაესხენ თეთრგვარდიელთა ბანდას. თეთრგვარდიელებმა უკან დაიხიეს. მოღალატეების აღმოსაჩენათ ზომებია მიღებული. ქალაქში წესრიგი მყარდება. 1 მარტს შესდგება საბჭოთა განსაკუთრებული სხდომა.

**ორენბურგი,** იანვრის 24. დღეს ჩვენმა ჯარმა ურალსკი დაიჭირა. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ.

# რუსეთი.

მოსკოვიდან ჩამოსული ჩვენი საელჩოს მდივანი ასე ახასიათებს რუსეთს:

**გადატრიალების შემდეგ.**

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ოპოზიციონური ჯგუფები კიდევ იმედს არ ჰკარგავდნენ. რომ დაემხოთ ბოლშევიკური მთავრობა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ჩარხი სხვა გვარად დაეტრიალებიათ, და იმ დროს, როცა ერთის მხრივ ბოლშევიკები და მათი მომხრე ჯგუფები გაცხარებით ეწეოდნენ მუშაობას, რათა განემტკიცებინათ თავიანთი მდგომარეობა და თავისი წესები დაემყარებინათ, მეორე მხრივ აგრეთვე არა ნაკლების ენერგიით სწარმოებდა ფარული და ლეგალური მუშაობა ბოლშევიკური მთავრობის შესამუსრავათ. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ცენტრები გადაიქცა ყოველ გვარ შეთქმულებათა ბუდეებად და მოწინააღმდეგეები ბრძოლას არ სწყვეტდენ. ხდებოდა შეთქმულებანი, როგორც მონარქიული ორგანიზაციების მხრივ, ისე სხვა ჯგუფების მხრივაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი დიდი შეთქმულების აღმოჩენა. რომელშიაც მონაწილეობდნენ ცნობილი მემარჯვენენი და რომლის მონაწილეთაც ბოლშევიკებმა ჩასთვალეს ინგლისის და საფრანგეთის ელჩები. ორივე ისინი დატუსაღებული იქნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი გაანთავისუფლეს და იმის შემდეგ დღემდი არც ინგლისის, არც საფრანგეთის წარმომადგენელნი საბჭოთა რუსეთში არ იმყოფებიან.

**ვეჩეკა**

ამ კონტრ-რევოლიუციის დროს საბჭოთა რუსეთში აღმოცენდა ფრიად საინტერესო და რუსეთისათვის დაუვიწყარი დაწესებულება. ეგრედ წოდებული სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად. ამ კომისიის მოქმედება მუდამ შავ ლაქად იქნება დარჩენილი საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიაში. რადგან მან გადალახა ყოველივე ადამიანობის, უფლების და ზნეობის ნორმები და შეიქმნა ავტორი ისეთი საშინელი ხოცვა-ჟლეტის და უსამართლობის, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. დახვრეტა, დახჩობა, უდანაშაულო ადამიანის მოკვლა და მრ. სხვა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ამ კომისიის მოღვაწეობაში. და რასაკვირველია ის კოშმარი, რომელიც დაატრიალა განსაკუთრებით მოსკოვში და პეტროგრადში ამ კომისიამ, საკმარისი იყო, რომ ამ ქალაქებიდან გაქცეულიყვნენ ბოლშევიზმის ოპოზიციის ლიდერები და მათი მომხრენი და სხვაგან დაეწყოთ მუშაობა,

**პეტერსი და ბურცევი**

ამ კომისიის თავმჯდომარე პეტერსი ეს ეშმაკისაგან მოვლინებული საშინელება იყო ხალხისათვის. ის არავის არ ზოგავდა, არავის არ ინდობდა და მისი ბრძანებით ყოველ დღე ასობით იჟლიტებოდა „კონტრ-რევოლიუციონერები", მაგრამ უცბათ, ყველასთვის მოულოდნელად ის სასამართლოში მისცეს და დახვრიტეს. საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ ამ აქტში დიდი როლი ითამაშა ბურცევის სენსაციურმა ცნობამ, რომელმაც საზღვარ გარეთულ პრესაში გამოაქვეყნა საბუთები, რომლითაც ის ამტკიცებდა, რომ პეტერსი ყოფილი „ახრანნიკი" იყო. პეტერსის სიკვდილით დამთავრდა ერთი პერიოდი ამ კომისიის კოშმარულ მოქმედებისა.

**სამარა და ციმბირი.**

პროვინციაში დაქსაქსულ მენშევიკესერულ მოღვაწეები და აგრეთვე კადეტები აქ აწყობდნენ ორგანიზაციებს და გარედან უნდოდათ დაეცათ ბოლშევიზმისთვის ლახვარი. როგორც ვიცით გაიმართა ფრონტები ციმბირში—ჩეხო-სლოვაკების, სამარაში დამფუძნებელი კრების კომიტეტის და ამ ორი ფრონტის შეერთების შემდეგ იყო მომენტები, როცა ბოლშევიზმი დიდ კრიზისს განიცდიდა და საფრთხე ელოდა თვით მოსკოვს, მაგრამ ბოლშევიკური მთავრობა ვერ იქნა დაძლეული და ამ ჟამათ, როგორც ვიცით, ჩეხო-სლოვაკების რაზმებიც დაშლილია და სამარის დირექტორიაც.

**საბჭოთა ჯარი.**

ამის მიზეზი უმთავრესად იმაშია, რომ ბოლშევიკებმა ცოტა ხანში შექმნეს ძლიერი ჯარი. მათ შემოიღეს ჯარში სასტიკი დისციპლინა, მიიწვიეს ჯარის გასაწვრთნელად ძველი სამხედრო მოღვაწენი, და ზოგიც აიძულეს ეს ექნა და შექნეს მტკიცე ლაშქარი, რომელმაც შესძლო დაემარცხებია საფრთხე ჩეხო-სლოვაკების და სამარის მხრივ.

**ტ რ ო ც კ ი.**

ჯარის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა ტროცკიმ. საბჭოთა ჯარში ის სათაყვანებელ პიროვნებათ არის გადაქცეული და თანაც შიშის მომგვრელ ადამიანათ. მას შემოვლილი აქვს ყველა ფრონტები, ყველგან დადის, ყაზარმებში დღეში რამდენიმეჯერ შედის ამის გასაგებათ და შეიძლება გავიმეოროთ ერთი გაზეთის სიტყვები, რომელიც სწერდა, რომ არ არის საბჭოთა რუსეთში ისეთი წითელ გვარდიელი, რომელიც ტროცკის პირადათ არ იცნობდესო.

**ჯარის რიცხვი.**

ამ ჟამად ბოლშევიკებს ჰყავს მილიონ ნახევარი გაწვრთნილი ჯარი, რომელიც თოფ ქვეშ სდგას. საბჭოთა მეხუთე ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა, რომ „გაზაფხულისთვის ჩვენი ჯარის რიცხვი სამ მილიონამდე ავაო"... წინეთ ჯარის უმთავრესი ნაწილი შესდგებოდა ლატიშებისა და ჩინელებისაგან, მაგრამ ეხლა შიგ მრავალი მუშა რუსი შედის.

**რეჟიმით უკმაყოფილება.**

საბჭოთა რუსეთში შეიძლება ითქვას მცხოვრებთა 95 პროც. უკმაყოფილოა არსებულ მთავრობით და მდგომარეობით. განსაკუთრებით ეს უკმაყოფილება მწვავდება უსურსათობით, რომლის ნიადაგზე დიდი ამბოხებანი ხდება, როგორც სოფლად ისე ქალაქებში, მაგრამ ეს პროტესტი ვერ გადადის მტკიცებაში, რადგან ბოლშევიკური მთავრობა არ ერიდება ცეცხლსა და მახვილს და ყოველივე სურვილს არსებულ მდგომარეობის შეცვლის შესახებ სისხლში ახრჩობს. ერთად-ერთი ძალა, რომელსაც მთავრობა ემყარება, ეს არის ჯარი და იმისთვისაა გადადებული ყველაფერი. კაცს ჰგონია, რომ საბჭოთა რესპუბლიკა არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ არჩინოს და შეინახოს ჯარი და გვარდია. და რასაკვირველია, ჯარი მთელი სისასტიკით სთრგუნავს ყოველივე გამოსვლას მთავრობის წინააღმდეგ.

**ლ ე ნ ი ნ ი.**

უმთავრესი ძარღვი საბჭოთა რუსეთისა არის ლენინი. ის არის ის ძალა, რომელიც ატრიალებს ჯერჯერობით საბჭოთა რუსეთის არსებობის ბორბალს და უიმისოდ ვერ სწყდება ვერც ერთი დიდი სახელმწიფოებრივი საკითხი. ბოლშევიკურ წრეებში ის მითიურ არსებად არის დასახული და ალბად პიროვნების ამ ზომამდე თაყვანის ცემა ჯერ არ ახსოვს რუსეთს. „ილიჩი" ის მარჩიელია რუსეთში, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ყოველ გაჭირვების დროს.

**ბოლშევიკი ქართველები**

ის ქართველები, რომელნიც ძველად ბოლშევიკები იყვნენ და ამ ჟამად, საბჭოთა რუსეთში მოღვაწეობენ თითქმის ყველანი დიდ თანამდებობაზე არიან, ჯულაშვილს იქ, „მეორე ლენინს" უძახიან. მისი ავტორიტეტი დიდი და ძლიერია. ესევე ითქმის აბელ ენუქიძის შესახებ, რომელიც არის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი. არიან პეტროგრადში ლორთქიფანიძე, მგელაძე და

35

სხვანი, რომელნიც დიდ როლს თამაშობენ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობაში და ერთგვარ მიმართულებას აძლევენ მას. რამოდენიმე ქართველი არის აგრეთვე, ჩრდილოეთ კომუნის წევრად და შიგ საპატიო ადგილები უკავიათ.

**სურსათით ვაჭრობა.**

კატეგორიებად დაყოფა მცხოვრებლების და სურსათის საერთო კრიზისის შესახებ თქვენ გეცოდინებათ, აღსანიშნავია, რომ კერძო ვაჭრობა სატახტო ქალაქებში სრულიად მოისპო ყველა დიდ კერძო სავაჭროებს ეხლა აწერია: „სოვეტსკაია ლავკა"-ო, მაგ. ელისეევის დიდ მაღაზიას და მრავალ სხვას. სპეკულიაცია და მექრთამეობა უმწვერვალეს წერტილამდეა მისული. ყოფილი „ბლაგოროდნოე სობრანიეს სახლს" ეხლა აწერია; საბჭოთა არჩეული სახლი, სასტუმრო მეტროპოლს „საბჭოთა მეორე სახლი".

**საბჭოთა დევიზი**

სტრასტნოი მოედანზე დიდი წარწერა ეცემა თვალში ყოველ გამვლელს. ზედ სწერია უზარმაზარი ასოებით, საბჭოთა სახელმწიფოს დევიზი: „кто не трудится, да не ѣстъ".

**უნივერსიტეტებში**

სტუდენტობა თითქმის სრულიად გაიქცა. აღარ არიან არც პროფესორები. მათი უმეტესობა გაიქცა „სოვდეპიიდან", ვინც დარჩა ისინი მუშაობას განაგრძობენ ძლიერ ცუდ პირობებში. ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი გადავიდა ბოლშევიკთა ბანაკში და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ცენტრალურ საბჭოში.

**ლიტერატურა და ხელოვნება**

ლიტერატურა დღითი დღე იზრდება. რამდენადაც დახშული და დევნილია პერიოდული პოლიტიკური პრესა, იმდენად თავისუფალია ხელოვნება, რომელიც ამ ბოლო დროს აშკარად იხრება ფუტურიზმისკენ. ძლიერ გაიზარდა მაგალითად, მაიაკოვსკის სახელი. გამოდის პერიოდული და შემთხვევითი გამოცემები, რომელნიც ხშირად დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ. სატახტო ქალაქებში დაიდგა მრავალი ახალი ძეგლი რევოლუციის მოღვაწეებისა. დაამსხვრიეს სკობელევის ძეგლი მის ადგილას გააკეთეს მონუმენტი, რომელზედაც ოქროს ასოებითაა დაბეჭდილი საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია.

**საქართველო და რუსეთი.**

არც ერთ ახალ სახელმწიფოს ისე უნდობლობით, ისეთი სიძულვილით და შურით არ იხსენიებენ რუსეთში, როგორც საქართველოს რესპუბლიკას. ერთის მხრით ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოს შესახებ მოდის ისეთი დაუჯერებელი ხმები, ისეთი საშინელი ამბები, რომ ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ. სწერენ, რომ საქართველოში დამყარდა აზნაურული მთავრობის წესწყობილება, რომ ხალხი აჯანყებულია, რომ ყოველ დღე ხვრეტენ და ახრჩობენ ასობით ხალხს და სხ. აქედან კი იქ არ მიდის არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჭეშმარიტი ცნობა და ინფორმაცია ძლიერ ცალმხრივი და ჩვენთვის არა სასურველია. ამის გამო ქართველები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან და ხშირად სიკვდილის მსხვერპლიც ხდებიან. რუსეთში ჩვენი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ, ის წარუდგა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ელჩებს.

სხვათა შორის ჩვენმა წარმომადგენელმა ინახულა ინგლისის წარმომადგენელი ვუდროპი, რომელმაც შემდეგი განაცხადა: მე ჯერ საქართველოს შესახებ რაიმე დირექტივები მიღებული არა მაქვს, მაგრამ ინგლისში იცნობენ ქართველ ერს და მისი დამოუკიდებლობის აღიარების წინააღმდეგი ინგლისის მთავრობა არ იქნება. შემდეგ თითქმის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელმა მიატოვა საბჭოთა რუსეთი და მოისპო საშუალება რაიმე დამოკიდებულების და კავშირისა. სხვათა შორის საბჭოთა მთავრობის და უკრაინის შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ უკრაინის გენერალურმა ელჩმა საქართველოს ელჩს გადასცა უკრაინელ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის რწმუნება, რაც საქართველოს წარმომადგენელმა პირნათლად შეასრულა.

**პერსპექტივები.**

აქ ბოლო დროს საბჭოთა მთავრობაში უთანხმოებამ იჩინა თავი ლენინი ნელა სცილდება წინანდელ შეურიგებელ აზრებს და უფრო სხვანაირად ეკიდება სახელმწიფოს საკითხს. ტროცკი კი შეურიგებელ პოზიციაზე სდგას და დემოკრატიზმზე ლაპარაკი ბოდვათ მიაჩნია. ლენინი უკან იხევს ნელნელა. ტროცკი ძველ გზას ადგია. ლენინი თითქმის ურიგდება დამფუძნებელ კრების იდეას და როგორც გადმოგვცემენ პეტროგრადში ის თითქმის თანახმაცაა მოწვეულ იქნეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. ამ მიზნით ის შესაძლებლად სცნობს მემარჯვენე ჯგუფებთან (ს.-დ., ს. რ.) მუშაობას. თუმცა არ არის გამომჟღავნებული ეს ამბავი გაზეთებში და ის ჯერ კიდევ კრემლის კედელთა შორის ბუდობს. მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს გარედ გამოვა და დაჰბადებს დიდ განხეთქილებას ბოლშევიკთა შორის.

რა მოჰყვება ამას—წარმოსადგენია მხოლოდ როდის მოხდება ეს განხეთქილება—ეს დამოკიდებულია სხვა და სხვა პირობებზე, რომელნიც ისე მრავლად გადაახვია ისტორიამ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ღერძზე.

# ქართველ მასწავლებელთა ორპოფობა

ბევრჯერ აღძრულა საკითხი ქართველ მასწავლებელთ კავშირის დაარსებისა და მომხდარა კრება, მაგრამ საუბედუროდ ჩვენი მასწავლებლები აყოლიან ორპოფ ამხანაგების ფეხის ხმას და ორპოფულ გზას დასდგომიან.

ასე მოხდა ახლაც. გაზეთებში განცხადება იყო: 19 იანვარს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია კრება თბილისის საშუალო სასწავლებლების ქართველ მასწავლებელთა კავშირის დასაარსებლადო, გიმნაზიის კრებაზედაც ასე ეწერა. ქართველი მასწავლებელნი გამოცხადნენ და შესდგა კრება. ორპოფ მასწავლებლებმა იგდეს ხელთ სადავე კრებისა, დემოსფენურ სიტყვებით მოხიბლეს ამხანაგები და თავგამოდებით იცავდნენ „ინტერნაციონალურ კავშირის" დაარსებას. ამხანაგებიც, გარდა რამდენიმე, აყვნენ ამ ცრუ დემოსფენების ფეხის ხმას და გაჩაღდა საქმე: დაადგინეს ინტერნაციონალურ კავშირის დაარსება.

მაკვირვებს ამ ვაჟბატონების საქციელი. ნუ თუ ქართველმა მასწავლებლებმა დღესაც ვერ შეიგნეს, რომ ორპოფობამ ბევრჯერ ჩაჰკრა მათ თავში და ქართველ ერსაც გაუფუჭა საქმე!

ვთქვათ, ინტერნაციონალურ კავშირის წინად ძველი რეჟიმის და მთავრობის დროს, როცა ყველანი—განურჩევლად ეროვნებისა ერთ და იმავე სულთამხუთავს ებრძოდნენ, ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დღეს, როდესაც საქართველო თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკად არის გამოცხადებული; ქართულ სასწავლებლები უკვე გამოეყო სხვა ეროვნებისას და ასე თუ ისე გაეროვნდა, არა თუ მნიშვნელობა არ აქვს, არამედ დიდად მავნეა ჩვენთვის.

რუსი მასწავლებელნი როგორც პედაგოგები გაცილებით უფრო მომზადებულნი არიან ვინემ ჩვენ, პროგრამები, სახელმძღვანელოები და სხვა აუარებელი აქვთ და ახლად სამშობლო ენის და ტერმინების შესწავლასაც არ საჭიროებენ. ჩვენ კი არც პროგრამები და სახელმძღვანელოები გვაქვს და არც მშობლიურ ნიადაგზე მომზადებული მასწავლებლები გვყავნან.

დღეს ჩვენი სასწავლებლები უმეტესად იმ მასწავლებელთა ხელშია რომელნიც ერთი წლის წინად სახელმწიფო სასწავლებლებში თბილ ალაგებს ეძებდნენ და სამშობლო ენის, მწერლობის და გეოგრაფია-ისტორიის შესწავლას არაფრად აგდებდნენ. ასეთ მდგომარეობაში არიან ჩვენებურად გამოცდილნი პედაგოგები.

გამოუცდელნი—ახლები — მეტადრე ქალები უარესს მდგომარეობაში არიან. ეს ქალბატონები გიმნაზია-ინსტიტუტზავედენიებში სწავლობდნენ, სადაც ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული, ამ მიზეზის გამო მშობლიურ ნიადგზე სრულიად მოუმზადებლები გახლავთ.

რამდენად ააყვავებენ გაეროვნებულ სასწავლებლებს ეს ქალბატონ ვაჟბატონები ადვილი წარმოსადგენია. ეს პედაგოგები მოუმზადებელნი არიან და მკურნალად თუ ეროვნული ნაციონალური კავშირი არ გაუხდა ბევრს დაკარგავს ქართული სკოლა.

თუ ვინმე გაკადნიერდება და იტყვის: ქართულ-ეროვნულ სასწავლებელთა გასაბედნიერებლად აუცილებლად ინტერნაციონალური კავშირია საჭირო და თავის აზრს დაამტკიცებს თვალსაჩინო მაგალითებით, საპასუხოდ მოვახსენებ, რომ ახალი ინტერნაციონალური კავშირის დაარსება მეტია, რადგანაც მეორე წელიწადია, რაც ვაჟთა პირველ გიმნაზიის მასწავლებლების თანამშრომლობით უკვე დაარსდა თბილისის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირი, რომლის წევრებად ითვლებიან ყველა ეროვნების მასწავლებლები და საწევრო ფულსაც უნდა იხდიდენ, როგორც ქვეყნის მორჩილი მონა.

მე კიდევ ვიმეორებ, ნაციონალურ-ეროვნული კავშირი ჩვენთვის აუცილებლივ საჭიროა, რადგანაც ჩვენი მიზანი და მოქმედება სულ სხვაა, ვინემ სხვა ეროვნებათა მასწავლებლებისა და საერთო მათთან არა გვაქვს-რა.

გ. იმნაიშვილი.

# კორესპონდენცია

## ქ. გორი.

მთავრობის განკარგულებით აქართულებენ ყოველივე წარწერებს დუქნებსა თუ სხვა კერძო დაწესებულებებზე- რაღა თქმა უნდა ამის წინააღმდეგი არავის არაფერი აქვს, ეს ასეც უნდა მომხდარიყო ადრევე; მაგრამ „უფროსებმა" ხომ უნდა იცოდნენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ საქმეში მაგალითს და მეტადრე კეთილ მაგალითს. ამით უნდა ეხელმძღვანელათ ამ შემთხვევაშიაც; ჯერ ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის უნდა მოეხსნათ ეს რუსული წარწერები; თორემ უხერხულია ხაზინას. ფოსტას და სხვებს ისევ რუსული წარწერები აქვთ. ამ მხრივ ვერ გამოიჩინა თაოსნობა ქალაქის თვითმართველობამ: გორის მოედნებს თუ ქუჩებს ისევ რუსული წარწერები და სახელები „ამშვენებენ; ნუ თუ ესიამოვნებათ იმისთანა სახელები, როგორც ეხლა უქვიათ: „კალენჩატი" „უკოლნი" „საპოჟნი" და სხვანი; მგონი რომ საკმარისი დრო ჰქონდათ ამ წვრილმანისთვისაც მიექციათ ყურადღება.

—

კვირას, იანვრის 19 გორში ერთ კეთილ საქმეს ჩაეყარა საძირკველი: საზოგადოება „მანდილოსნის" შენობაში მოხდა დამფუძნებელი კრება „გორის დრამატიულ წრის" საზოგადოებისა: დამსწრეთა რიცხვი მცირე იყო: სულ თხუთმეტი თუ ოცი კაცი და ქალი: მხოლოდ ყველა მათგანი მოწადინებულია იმ საქმის აყვავებაგაფურჩქვნას, რომელსაც იმ დღეს საძირკველ უყრიდნენ გორის ნიადაგზედ. ამავე დღეს კრებამ განიხილა წრის წესდება და შეიტანა საჭირო ცვლილებანი; მაშინვე ამორჩეულ იქმნა წრის გამგეობა, რომელიც მალე შეუდგება საქმეს და იმედია ფრიად ნაყოფიერი იქნება მისი მოქმედება გორის საზოგადოებისათვის. ჩვენც ვუსურვებთ საქმისადმი სიყვარულს, სერიოზობას და ნაყოფიერებას; ვუსურვებთ ასცდენოდეს ის ბედი, რომელიც ზოგიერთ გორის საზოგადოებებს სჭირთ. რომ საარაკო გმირივით წელიწადში ერთი კვირა ღვიძავთ და 360 დღე-კი სძინავთ.

—

ჩვენმა პარტიამ გორის თვითმართველობის არჩევნებისთვის უკვე წარადგინა სია, რომელიც შეიცავს 33 პირს და არის № 2. ჩვენი კანდიდატები ყველა გამოცდილნი და საქმის მცოდნე პირნი არიან, გორში პატივცემულნი; არჩევნები მოხდება თებერვლის 2 კვირას. ყველა პოლიტიკური პარტიები დიდ ფაცა-ფუცში არიან. თვითმართველობის არჩევნებში ოთხი პარტია იღებს მონაწილეობას: 1) ეროვნულ-დემოკრატიული, 2) სოციალ-დემოკრატიული, 3) სოციალ-ფედერალისტური, და 4) დამოუკიდებელი ეროვნული პარტია: წინად ექსვმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა; სოციალ-რევოლუციონურ რუსულმა „სალდათების და დაშნაკურ-სომხურ პარტიებმა; ეს ორი უკანასკნელი პარტია გორში ეხლა არ არსებობს.

სოსო.

# წერილი რედ. მიმართ.

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ თბილისში არსებულ მეღვინეთა ამხ. „საეროს", რომელმაც წინანდლის (კახეთი) სასოფლო სამკითხველოს გამოუწერა გაზ. „საქართველო" და „ბორბა".

პატივისცემით სამკითხველოს გამგე.

—

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ სახლის პატრონების კავშირმა (№ 9) სიაში ჩემდა ნებადაურთველად შემიტანა და მე არავითარი სურვილი არა მაქვს ამ სიაში მონაწილეობის.

[illegible] თოიძე.

# სია № 4.

ჩვენი კანდიდატები ლანჩხუთის ქალაქის არჩევნებში.

1. სიხარულიძე თეოფანე პეტრეს ძე, ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.
2. ხომერიკი ბესარიონ პომპლიოსის ძე, მღვდელი საქალებო გიმნაზიის მასწავლებელი.
3. ებრალიძე დავით ზევარის ძე, მუშა ინტელიგენტი.
4. წულაძე ბესარიონ გრიგოლის ძე, ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი.
5. ხუნდაძე გრიგოლ ზურაბის ძე, ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს წევრი.
6. ხოფერია კირილე გიორგის ძე, კომერსანტი.
7. ჯიჯიეშვილი პეტრე ანტონის ძე, მღვდელი.
8. ფირცხალაშვილი მოსე ბუჭუს ძე, კომერსანტი.
9. გარაყანიძე ივანე ნიკოლოზის ძე, კომერსანტი.
10. ჟორდანია კონდრატი გიგოს ძე, სამხედრო პირი.
11. ღლონტი მელიტონ ხუტუს ძე, კომერსანტი.
12. ჭელიძე ლადიმე გაბრიელის ძე, კომერსანტი.
13. ებრალიძე ილარიონ ალმასხანის ძე, კომერსანტი.

# საქართველოს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის.

1. ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე, პარლამენტის წევრი.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი.
3. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, პარლამენტის წევრი.
4. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, პარლამენტის წევრი. (უპარტიო).
5. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე. პარლამენტის წევრი. (რადიკალ დემოკრატი).
6. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, ქალაქის ხმოსანი. (ბანკის დირექტორი).
7. წერეთელი ნიკოლოზ ესტატეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
8. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, მრეწველი.
9) ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
10. ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე, ვაჭართ. მრეწვ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. (უპარტიო).
11) ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე, აგრონომი, კომერსანტი. (რადიკალ დემოკ.).
12. გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
13. მეძმარიაშვილი კალისტრატე გიორგის ძე, კომერსანტი.
14. თელაკვაძე ნიკიტა დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი.
15. სულუხია მოსე ივლიანის ძე, ბანკის დირექტორი.
16. ძიძიშვილი ნოე სვიმონის ძე, ნაფიცი ვექილი.
17. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
18. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი.
19. ჟორდანია გიორგი თედორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
20. ვაჩნაძე ლევან ალექსანდრეს ძე, ყოფილი ხმოსანი.
21. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, ჟურნალისტი.
22. სიხარულიძე ნოე გლახუნის ძე, კომერსანტი.
23. მამრაძე პეტრე გრიგორის ძე, ინჟენერი.
24. კრაუზე ოსვალდ კარლოს ძე, ინჟინერი. (უპარტიო).
25. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე), მწერალი. (რადიკალ დემ.).
26. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე, ექიმი. (უპარტიო).
27. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
28. ყიფიანისს ნინო ბეჟანის ასული, მწერალი.
29. გველესიანი იოსებ იოსების ძე, კომერსანტი.
30. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
31. კვირკელია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი.
32. ჯანელიძე გრიგოლ არჩილის ძე, პროვიზორი.
33. მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, ექიმი (უპარტიო).
34. დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე, ინჟენერი.
35. ყავრიშვილისა ანნა ანტონის ასული.
36. ჯავახიშვილი იასონ (იურისტი).
37. ნასიძე ივანე აბრამის ძე, იურისტი.
38. ფორაქიშვილი სვიმონ ილარიონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
39 ჟღენტი პლატონ, კომერსანტი.
40. ტაზიშვილი ირაკლი გრიგორის ძე, კოოპერატორი.
41. კავკასიძე ივანე სერაფიონის ძე, მასწავლებელი (უპარტიო).
42. კვეზერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის ძე, კომერსანტი.
43. კახიძე ტიტე ბენედიქტეს ძე, პედაგოგი.
44. ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვიმონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
45. ღვთისაფრიშვილი სვიმონ, ბუღალტერი (უპარტიო).
46. ზურაბიშვილი ვასილ გიორგის ძე, კომერსანტი. (რად. დემ.)
47. გაბუნია სილოვან, ნაფიცი ვექილი.
48. ჭინჭარაძე ნიკოლოზ, კომერსანტი.
49. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე, პროვიზორი. (მწერალი).
50. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, აფთიაქის პატრონი.
51. ჯაიანი ბესარიონ, ბუღალტერი.
52. ქყონია სვიმონ [illegible] ძე, კომერსანტი.
53. გელოვანი სამსონ ჯანსუყის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
54. ჭრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე, კომერსანტი.
55. კანდელაკი გრიგორ ზახარის ძე, იურისტი.
56. აფხაზი ივანე დიმიტრის ძე, იურისტი. (უპარტიო).
57. ჩაჩიბაია გიორგი ზურაბის ძე, საოლქო სასამართლოს წევრი. (უპარტიო).
58. ყიფშიძე ივანე ანდრიას ძე, ინჟენერი. (უპარტიო).
59. ყიფიანი ვასილი გიორგის ძე, კომერსანტი.
60. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, ჟურნალისტი.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

ექიმი

ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—25—2305

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო

ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიების ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. 5—3

განცხადება.

ფოთის ქალაქის გამგეობასთან არსებული განსაკუთრებული კომისია

თანახმად ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრის განკარგულებისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1919 წლის 1 მარტიდან ფოთის ნავთსადგურში დანიშნულია ვაჭრობა, რომლითაც გაიყიდება ფოთის ნავთსადგურის სხვა და სხვა საწყობებში შენახული სახაზინო ქონება, სახელდობრ: ლურსმანი, სარეცხის საპონი, რკინისა და კანაფის თოკები, მილები, ბრეზენტები, ელექტრონის შუშები, სხვა და სხვა საქონელი, სპილენძის და რკინისა და სხვა და სხვა მოწყობილება. ვაჭრობა იწარმოებს თითოეულ საქონელზე ცალკე ანუ პარტიობით, ვაჭრობა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს. ვაჭრობის მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდი უნდა წარმოადგინოს საწინდარი ნაღდ ფულად ერთი მესამედი იმ თანხისა, რამდენათაც დაფასებულია საქონელი და დანარჩენი ფული უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დამტკიცებისთანავე. ვაჭრობის შედეგი უნდა განიხილოს კომისიამ და მისგან დამტკიცების შემდეგ მყიდველს ჩაბარდება ნაყიდი საქონელი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაუბრუნდება წარმოდგენილი საწინდარი.

3—104—2 განსაკუთრებული კომისია

ბორჯომის მიწის ეროვნულ ქარხანამ

განაახლა მუშაობა

და იღებს დაკვეთას შემდეგი შუშებისას:

შუშები: კონიაკისა, ჩარექიანი, ბორდოსი და სხვა. შუშები: სამჩარექიანი, მურაბის ბანკები, აფთიაქის წამლების, გლიცერინის „ველიურ", ფეხსაცმლის საწმენდი კრემი და სხვა შუშები.

დაკვეთისათვის უნდა მიმართონ ბორჯომში ბორჯომის ეროვნული მამულების გამგეობას.

ბორჯომის ეროვნული ქონების გამგე ინჟენერი ხუნდაძე.

2—2049—2

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთადერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე: ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

5—101—4

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება

მხოლოდ ნაღდ ფულად

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.

10—94—10

სტამბა „[illegible]" ა. კეჭაყმაძის, გაზეთის შესახვევი № 1.